

ანოტაცია

ახალი კანი (New skin)

გარეგანი და ადგილობრივი გამოყენების აეროზოლი,  
გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა

1 მლ ხსნარი შეიცავს აქტიურ ნივთიერებებს: მცენარეული ღეროვანი უჯრედების კონცენტრატს „დასს“ 15 %.

დამხმარე ნივთიერებები: მეთილენის ლურჯს, პოლიეთილენგლიკოლი, გამოხდილი წყალი 1მლ-მდე

აღწერა: მუქი ლურჯი ფერის, გაუმჟვრვალე ხსნარი

ფარმაკოლოგიური თვისებები „ახალი კანი“- ს გამოყენებით ჭრილობების სწრაფ შეხორცებას და ანტიმიკრობულ მოქმედებას განაპირობებს პრეპარატის შემადგენლობაში არსებული ბიოაქტიური ნაერთების ანთების საწინააღმდეგო, ანტიოქსიდანტური და უჯრედულ-პროლიფერაციული თვისებების კომბინირებული ეფექტები, ეს ნივთიერებები მოქმედებენ სინერგიულად, რათა შეიქმნას ოპტიმალური გარემო ჭრილობების სწრაფი შეხორცებისა და ქსოვილების რეგენერაციისათვის.

მცენარეული ღეროვანი უჯრედებიდან მიღებული კონცენტრატი „დასი“, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ბიოაქტიურ ნაერთებს, მათ შორის, ფლავონოიდებს, ანტიოქსიდანტებს, ფენოლურ ნაერთებს, პირიდინისა და სხვა აზოტშემცველ ჰეტეროციკლურ ნაერთებს, აქვთ კარგად გამოხატული ანთების საწინააღმდეგო და ანტიმიკრობული თვისებები, რაც გადამწყვეტია ჭრილობების შეხორცების პროცესში და ხელს უწყობენ ინფექციის თავიდან აცილებას.

„დასში“ შემავალი - ანტიოქსიდანტები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჭრილობების შეხორცებაში თავისუფალი რადიკალების ნეიტრალიზებით, რომლებიც თავის მხრივ იწვევენ ოქსიდაციურ სტრესს და უჯრედების დაზიანებას. მასში არსებული შემადგენელი ანტიოქსიდანტები იცავენ ჭრილობის არეს ჟანგვითი დაზიანებისაგან, რაც ხელს უწყობს ქსოვილების სწრაფ აღდგენას. ფლავონოიდები და ფენოლები, ახდენენ კოლაგენის წარმოების სტიმულირებას, აძლიერებენ კოლაგენის სინთეზს, რომელიც აუცილებელია ახალი ქსოვილის წარმოქმნის პროცესში და მისი

რაოდენობრივი ზრდა და სტიმულირება იწვევს ჭრილობების შეხორცების დაჩქარებას. პირიდანისა და სხვა აზოტემცველ ნაერთებს გააჩნია უჯრედების პროლიფერაციისა და მიგრაციის უნარი, რომელიც კრიტიკულია ჭრილობის დახურვისათვის. ეს პროცესი მოიცავს ქსოვილოვანი უჯრედების გამრავლებასა და მათ გადაადგილებას ჭრილობის ზედაპირზე, რაც ხელს უწყობს ახალი ქსოვილისა და სისხლძარღვების წარმოქმნას (ანგიოგენეზი). დასში შემავალ ნივთიერებებს აქვს თვისებები შეამციროს სხეულის ადგილობრივი ანთებითი საპასუხო რეაქციები, რითაც ამცირებს ქსოვილის დაზიანებას და ქმნის უფრო ხელსაყრელ გარემოს მკურნალობის პროცესში. იგი ქმნის დამცავ ბარიერს ჭრილობის ზედაპირზე და ინარჩუნებს ტენიან გარემოს სასარგებლოს ჭრილობების შეხორცებისთვის.

შექმნილი ბარიერი მეთილენის ლურჯის დახმარებით იცავს ჭრილობას გარე დამაბინძურებლებისგან და ავლენს ანტიბაქტერიულ, ანტისეპტიკურ და ანტიმიკოზურ მოქმედებას. იგი ააქტიურებს ზრდის ფაქტორების გამომთავისუფლებას, რომლებიც

გადამწყვეტია ჭრილობების შეხორცებისას და სასიცოცხლო როლს ასრულებს ქსოვილების აღდგენისა და რეგენერაციის პროცესში.

გამოყენების ჩვენებები

გამოიყენება სასოფლო სამეურნეო ცხოველების, ფრინველებისა და შინაური ცხოველების (ძაღვი, კატა)

ქირურგიული და ტრამვული ჭრილობების დასამუშავებლად, შეხორცების სტიმულირებისა და მკურნალობისთვის, მათ შორის:

- კანის ზედაპირული დაზიანებები: ნაკაწრები, ჭრილობები, დაჟეჟილობები, ნახეთქები (ასევე ცურთითების ნახეთქები ლაქტაციის პერიოდში), დამწვრობები, პიოდერმა, დერმატიტები (მ.შ. ჩლიქთა შუადერმატიტი), ლიაზცესები, კანის ქრონიკული დაზიანებები, წყლულები, ნაწოლები, ეგზემა;
- პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დამუშავება;
- ცხოველთა კიდურების სადეზინფექციოდ (მ.შ. თურქულის, ნეკრობაცილოზის დროს);
- კასტრაციის წინა და შემდგომი მანიპულაციები;

გვერდითი მოვლენები: გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება

უკუჩვენებები: ინსტრუქციით გათვალისწინებული წესების მიხედვით გამოყენებისას უკუჩვენებები არ აღინიშნება.

სამიზნე სახეობა: სასოფლო სამეურნეო ცხოველები, ფრინველები, ძაღლები და კატები გამოყენების მეთოდი, დოზირება

პრეპარატის გამოყენებამდე დასამუშავებელი გარე ზედაპირი უნდა გასუფთავდეს, უნდა მოაშოროთ ნეკროზული ქსოვილები, ჩირქი, ჭრილობის ექსუდატი. მექანიკური მიფრქვევა ხდება დღეში 1-2-ჯერ დაზიანებულ ადგილზე 1-2 წამის განმავლობაში 10-20 სმ-ის მანძილიდან. მიფრქვევის შემდეგ ცხოველს არ უნდა მიეცეს პრეპარატის ალოკვის საშუალება 5 წუთის განმავლობაში. მკურნალობის ჯერადობა და ხანგრძლივობა დამოკიდებულია დაზიანების სიმძიმეზე და შეხორცების სიჩქარეზე.

სიფრთხილის ზომები: დაიცავით აეროზოლებთან მუშაობის წესები (დაუშვებელია ცეცხლთან ახლოს გაფრქვევა და ცარიელი აეროზოლის დაშლა და გახვრეტა).

ჭარბი დოზირება

ვინაიდან პრეპარატი განკუთვნილია ადგილობრივი მოხმარებისათვის, დოზის გადაჭარბების გამო ინტოქსიკაცია პრაქტიკულად შეუძლებელია.

დაყოვნების პერიოდი

ხორცი: (პროდუქტიული ცხოველები, ფრინველი) 0 დღე

რძე: 0 დღე

სასწრაფოდ დაკვლის შემთხვევაში მკურნალობას დაქვემდებარებული ნაწილი მოცილებული უნდა იქნას.

შენახვის პირობები

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას 5-25°C ტემპერატურაზე. აუცილებელია მოვარიდოთ მზის პირდაპირი სხივების ზემოქმედებას და ფლაკონის გათბობას 45°C ტემპერატურამდე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი

შეფუთვის ფორმა: 300 მლ და 50 მლ მოცულობის ალუმინის ბალონში მოთავსებული ანტისეპტიკური ხსნარი, გამფრქვევი საცობითა და დამცავი ხუფით

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტისეპტიკი, დეზინფექტანტი. ATCvet code: QD08AX

მხოლოდ ვეტერინარული გამოყენებისათვის.

შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას.

მწარმოებელი: შპს „ბიოტექსი“, საქართველო, თბილისი, იუმანშევის ქ#8